დავით არახამია

ჩამოკრა ზარმა

დავით არახამია

ჩამოკრა ზარმა

თბილისი 2012

წინამდებარე ლექსების უმრავლესობა ორ ათეულ წელზე მეტი უჯრაში იდო; ავტორი დავით არახამია არ ცდილობდა მათ სამზეოზე გამოტანას. ბოლოს და ბოლოს ორმოცდაათი წლის ასაკში მოისურვა მან თავისი შემოქმედების გამომზეურება. აქ მოცემული ნაწარმოებები გამსჭვალულია სამშობლოს და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით.

საერთოდ, ნებისმიერი მხატვრული ნიმუშის დანიშნულებაა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე და გარემოზე, რასაც ჩემი აზრით, ეს პატარა წიგნიც შეძლებს.

რედაქტორი: **პაპუნა ქვარიანი**

გამომცემლობა **„თაკვერი"**

უნდა გიმღერო

უნდა გიმღერო, ჩემო მამულო,
მინდა, ბრწყინავდე როგორც მთიები;
მინდა, ალალად რომ გემსახურო,
ვერ გვაცდუნებდეს ყოფა ცბიერი.

მინდა, რომ ჩვენში მარად ხარობდეს
ხოდაბუნები, ვაზის ყლორტები.
კაცი უაზროდ აღარ ავობდეს,
აღზევდეს ჟამი გამოცოცხლების.

გადმოიღვარა ლექსად ფიქრები,
ჭეშმარიტებას ვეთაყვანები...
ისევ და ისევ, ერის დიდების
და გამარჯვების გვიხმობს ზარები.

* * *

მიყვარს ღამე სიარული,
ავუყევი ფერდობს მარტო.
ღამურების შარიშური
სიმყუდროვეს სიქას აძრობს.

მივაბიჯებ ბილიკ-ბილიკ,
ავი ფიქრი, ავად მართობს.
ეხ, რას ვიზამ, ეხ, სადა ხარ,
დაკარგულო მისამართო.

როგორც უნდა

ხასხასებენ ველ-მინდვრები;
აგიჟმაჟდა ნიავქარი...
ოცნებით ზე ავიჭრები,
რომ ვაჟღერო უცხოდ ქნარი.

საწუთროს რომ ვაკვირდები,
გულს ეგზნება ბრაზის ალი;
როგორც უნდა ისე მხედნის,
ჩემი ბედი და იღბალი.

* * *

ეჰ, დამშვიდებას აღარ მაცლიდა
ცის მეწამული დასალიერი
დილის ნიავი თმას გივარცხნიდა
და გეცვლებოდა წუთით იერი.

სისხლში ვნებებმა ისევ დამქროლეს,
როცა მომესმა ჟღარუნი არღნის...
შენი თვალები იმ დღეს მაგონებს,
როს ვერ ვუჭერდი სიყვარულს აღვირს.

* * *

ძნელია, მაშინ მშვიდი ცხოვრება,
როცა გულს გიკლავს ტრფობა მალული,
როცა სამყარო გეუცხოება,
როცა ჩამუქდა გზა სინანულის.

ვნება, რომელიც სულში ბორგავდა,
თანდათან თითქოს ხდება დამყოლი...
რაღაც იცვლება, რაღაც მოგვარდა,
მაგრამ ოცნების საზღვარს დაშორდი.

* * *

შხუის მდინარე ნერვებაშილილი,
ღრუბელი ავდრის მიზანდას წელავს.
ბოლოს და ბოლოს ხელებგაშლილი,
ბუნება ითხოვს თვის ცისარტყელას.

* * *

კაცი ამაოდ თუ არ მოცდება
იქნებ გაუღოს კარი ოცნებას.

ძნელია ჩაწვდე მამულის ვარამს,
როს დამთხვეული მიდენის ფარას.

თვალს თუ ამიხელს იესოს მრწამსი,
ჭეშმარიტების ფიალას დავცლი.

* * *

ჟამი სევდიან მოგოგნებების
წარმოისახა სამოთხის დარად.
თვალების სითბოს კვლავ ვემონები,
კვლავ ავიფარებ ოცნებას ფარად.

ისე ეფერა მთვარეს ღრუბელი,
თითქოს მეტოქე არავინ ჰყავდა;
ეჰ, მაშინ ვიყავ გამოუცდელი
და ჩამოეშვა ჩვენს შორის ფარდა.

მამულს

იყო დრო, როცა ძაღლუმადურად
საერთო ბუხრის ალი გვათბობდა.
ცხადია, მაინც კრძალვით, ფარულად,
მამულის ტრფობა გულში სახლობდა.

წამოიმართა აპრილის სხივი,
გარდაისახა გრძნობის მაშხალად...
მარად ფასი აქვს მაშინდელ ტირილს,
ის შემართება კვლავ არ ჩამქრალა.

არ ოდეს

ფრთებს შლის გული მღელვარე,
ტატნობს მისწვდა მწველ ჰანგით;
სათაყვანო კელაპტრებს
უბღვერს მტერი, ვერაგი.

გადავწონი გარემოს
ამ კალმით და ამ ფიცით...
უფლის დიდი სამეფო
ჩვენს ჭირ-ვარამს განიცდის.

არ ოდეს არ წაიშალოს
რწმენა, ტრფობა, იმედი;
ერთობა არ მოიშალოს,
არ აბორგდეს მილეთი.

* * *

იდუმალია, შინაგანი
                  გრძნობა ყოველი.
უფასურდება წარმოსახვა –
                  დარდის მთოველი.

როგორც ძნელადვე იშუშება
                  კვერი ობლისა,
ასევე ძნელად განირჩევა
                  ბედი სოფლისა.

* * *

როცა მიხვდება კაცი,
გულს გული როგორ სჭირდება,
მაშინ ექნება ფასი
ადამიანურ ღირსებას.

* * *

ვინც უერთგულა მიწას და
მამულს,
ვინც დაიხარჯა სულით ხორცამდე,
ვინც არ გაექცა სინდისს და
ნამუსს,
მას სულიწმინდა უნდა ლოცავდეს.

ვარ აკლებული მშფოთვარე
განცდით;
ტკივილი ჩემი არ არს ახალი...
და ამ უბადრუკ სიცოცხლის
ჩათვლით,
მუდრეგ სიკვდილთან ვარ
წილნაყარი.

* * *

როგორ ყვითლდება, უხეშდება
ფოთლები ნაზი; –
შქერის, იელის, ნეკერჩხალის,
მოცხარის, ვაზის;
ოდესმე, მეც ამ ფოთლებივით
სიბერე მწყრალი,
მეწვევა, ტკბილ სვეს შემიკაზმავს
ცხოვრება მწარით.

* * *

ისევ აივსო საფერფლე შხამით;
უშნოდ ვბუტბუტებ უღრუბლო
ცის ქვეშ...
მე შენს ზმანებას გამოვექეცი,
რომელიც დღემდე მოწყენით
მიმზერს.

ყავის ფინჯანში

აჰა, ღამდება, მთავრე ამოდის,
სიჩუმეს არღვევს შრიალი ხეთა;
სტრიქონთა წყობა აღარ გამოდის,
ვით სატრფო ნაზი და დედისერთა.

ცოტაც და ალბათ ლექსიც გამოვა,
რადგან იმძლავრა სიტყვათა კონამ.
ყავის ფინჯანში ისიც ამოვა,
რომლისაც დღემდე ვიყავი მონა.

* * *

განუკითხავი ცხადის ზმანება,
არის უხეში და თან თავნება.
როს ვერ მოთოკავ ვნების
ქარაშოტს,
შენს ახლო-მახლო ეშმა
დარაჯობს.

* * *

გადამწვანდა არემარე
და გითრთოლებს სიო ღაწვებს;
ერთხელაც არ გამიღიმე,
ჩემი ცოდვა მხრებზე გაწევს.

ლამაზია ეს მთა-ბარი,
როგორც შენი მიხვრა-მოხვრა,
გაწბილებით ნირწამხდარი,
ძველ დუდუკში ძლივსღა ვვოხრავ.

* * *

მწუთხეა მწარე სიმართლე,
შორეთში გარბის მრავალი...
ეჰ, დროზე თუ არ ვივარგეთ,
ბეჩოდ იქცევა კარავი.

* * *

დააგვიანდა მერცხალს მოფრენა
და მსწრაფლ დააცხრა ის თავის
ბუდეს;
ძლივს გარდასახა ჭირი
მოლხენად,
რადგან გზა იყო ბნელი და
მრუდე.

* * *

ვარდობის თვის მიწურულში
აცისკროვნებს მამულს დროშა.
სიხალისე ფეთქავს გულში,
სულის ქროლვა ერწყმის ლოცვას.

მოავლინა შემოქმედმა
ელვის ეშხი წამიერი...
გუგუნებს და იგუგუნებს
ქვეყნის მრავალჟამიერი.

* * *

არ მინდა გარეთ ხშირად
გახედვა,
რადგან სუსხია, შლეგი მარტია;
იმ ღამის ცოდვამ მწარედ
დამსეტყვა,
მარტი მასავით უკულმართია.

მხოლოდ იმას

მომწონხართ, მაგრამ ვეჭვობ,
რომ ვერ გამიგებ ვერას,
ერთმანეთს ძირფესვიანად,
არ გავცნობივართ ჯერაც...

კვლავ თავს ვიკავებ, ვწრიალებ და
ერთ ადგილს ვბეკნი,
მე შევიყვარებ მხოლოდ იმას,
შენგან რომ შევქმნი.

* * *

გაისმის დაცვენილ ფოთლების
შრიალი, გოდება;
გარემოს ამგვარი ცვლილებით
მიწა ოქროვდება.
გამვლელო ნუ ერჩი ამ ფოთლებს,
ფეხით ნუ გათელავთ;
ეხ, მაინც ცოტა ხნით ანათონ
მოწყენილ სანთლებად.

* * *

არ მომასვენა ქარბუქმა,
დრო და დრო მწარედ
ვკვნესოდი;
ცხადია, ამ მწუხარების
გაწამაწიას ველოდი.

ვის ესმის ჩემი გოდება,
ვაი-ვიშვიში, ტირილი...
ეჰ, მოსახდენი მოხდება,
ტკივილს განკურნავს
ტკივილი.

გვეღირსება

დარდი დარდზე უარესი,
ფიქრი ფიქრზე ნაშენი;
ნეტავ, როდის გამოჩნდება,
ღმერთო გზა და საშველი.

ჩაფერფლილი იმედები,
ჩამომჭკნარი იები;
თავს ვიტყუებ, უცოდველი
ცოდვის მონანიებით.

ცრემლიანი მოლოდინი,
დაპირება მაცდური;
ეღირსება? როდესმე კაცს
ყოფა კაცურკაცური.

* * *

დაურვებული გრძნობა,
დადუმებული ბაგე.
ერთად ოცნების კოშკი
ვერ იქნა, ვერ ავაგეთ.

ამ ნატყვიარი გულით,
როცა ძნელდება სუნთქვა,
რატომ არ გესმის ჩემი,
რისხვა სრტიქონებს თუთქავს.

კვლავ ზეცისაკენ

დაუდეგარი ჩემი ფიქრები
უსაზღვრო სივრცეს შესჭიდებიან...
მე მათ სრბოლაში ვბორგავ,
ვიღლები,
ისინი, მაინც არა ცხრებიან.

ხან გადუქროლენ ვასკვლავებს
თავზე,
ხან დედამიწის ქერქში ძვრებიან,
ზოგჯერ ცეკვავენ
ავარდნილ ალზე,
თითქოს ეძებენ ალქაჯს თმებიანს.

ზოგჯერ ცხოვრების
ორომტრიალში
მეტეორივით დაეშვებიან;
ამ უსასრულო სრბოლა, ყიალში,
კვლავ ზეცისაკენ აიჭრებიან.

* * *

მინდა, სიცოცხლე პეპელასავით,
თუნდაც სამი დღე,
რომ ეს სამყარო მცირეოდენ
სიკეთით ვქარგო;
ბოლო წუთზე კი ტერენტივით
ისე გავგიჟდე,
რომ მთელ დუნიას საქართველოს
სურნელი ვამცნო.

* * *

მზად ვარ, უნდა გემსახურო,
ერთადერთო, საფიცარო;
ნუ, მოილტვი აქეთ დევო!
მხოლოდ ჩექმას გაცვითავო...

* * *

ჩიტო, ჩიტო დაბუა!
შენც სიყვარულზე გალობ...
მახეში ვინ არ გაბმულა:
ვაუკაცო, თუგინდ ქალო...

ყველა სულიერს თან სდევს,
რაღაც შიმშილის განცდა;
გინდა? სიზმარი ახდეს, –
ნუ ითაკილებ დაცდას.

* * *

რა ჯობია, როცა ხედავ,
როგორ ყვავის მინდორ-ველი;
რა ხანია ასე ხდება,
ჩემს გაზაფხულს კვლავ
მოველი.

მაგრამ ვიცით, არაფერი
არ იქნება სამუდამო...
გავაგორე კამათელი,
რომ მტერს გული
გავუხარო.

კრავის დუმილი

მიყვარს სიჩუმე მთვარიან ღამის,
ბილიკს მივყვები ფიქრებით
მთვრალი;
როს გაიელვე ჩემს თვალწინ
წამით,
ვისიგრძეგანე დუმილი კრავის.

ვისაც შევხედავ, შენ იყო მინდა...
და დასანახი რომ დაინახო;
ასე მგონია, სიყვარულს წმინდას,
ვერ ეკარება დემონი ახლოს.

* * *

როცა მივყვები ხვეულ ბილიკებს,
ბედი სამსალას მასმევს ფიალით...
ვინ წარბებს შეკრავს, ვინ კი
ქილიკებს,
მილეთი ხარობს ორომტრიალით.

მრავალჯერ ისე გამოიკვეთა,
მოჭრილი ხიდან სკდომა
კვირტების,
თითქოს ვარსკვლავმა მთვარე
გაკვეთა
და მიმოირწყა შარა ცის
ცრემლით.

* * *

კვლავ გამიელვე, კვლავ მახსენდება,
ყრმობა და შენით მთვრალი
ფიქრები.
კვლავ მესიზმრები, მაგრამ
რატომღაც
წინანდებურად აღარ ირთვები.

მაშინ ეჭვებმა რომ დამაოსა,
სული აბორგდა ბინძურ სილაში.
მაინც ვერ შევძელ, ვერ დაგივიწყე,
კვლავ თავს მახსენებს შენი მირაჟი.

პოეტს

ჯერაც შორსაა ჟამი სიბერის,
გაქვთ შემართება ახალგაზრდული;
რომ დავფიქრდები, როცა გიცქერით –
მხრებს არ გიმძიმებთ მძიმე
წარსული.

ხართ ამაყი და შეუპოვარი;
ეს თქვენი ღვაწლი მართლაც
დაფასდა.
მაშინ იქნება მყოფადი მძლავრი,
როს გადიქცევა ერთი ათასად.

* * *

ეჰ, მერამდენე დგება ზაფხული,
ცეცხლში გახვეულ წარსულის მერე.
ყელს მოიღერებს ბევრჯერ თავთუხი,
ბევრჯერ შეიცვლის
ლაჟვარდი ფერებს.

მამული ჩვენი, სისხლდათხეული,
ბევრის შემძლეა, ბევრის მნახველი.
მარადჟამს, იყოს ზეაწეული
კვერთხი, – სიკეთის გამომსახველი.

* * *

იმისთანა დარია,
მგონი სულიც მწვანდება.
გული მიგრძნობს, რატომღაც
რაღაც გამიხარდება.

ცრემლნადენი თვალები
სიხარულით ბრწყინავენ;
უსახლკარო იმედი
სხივში დავაბინავე.

* * *

არ მიფიქრია შენი დათმობა,
თუმც ზოგჯერ წყენად
                  გამიავდრდები.
დღე უკუნეთით არ შემიცვალო,
არ შემიცვალო ეკლით ვარდები.

არ შემიცვალო რწმენა ყოყმანით;
გპოვე, შენს გარდა არავის ვეძებ.
რადგან მინდიხარ,
                  რადგან მიყვარხარ,
ჩემი არსება უშენოდ ვერ ძლებს.

ღირსი

ჩვენი სიცოცხლე წამიერია,
ო, ეს წამები, რა სწრაფად
გადის.
ბევრი ვარამი დაგვიძლევია,
არ ვიცით, ბედი ვის რას
გვიქადის.

კაცობრიობას არ მოეშლება
ოცნების სხივი და იმედები...
მამული გვიხმობს! სამშობლო
გვრჩება, –
ღირსი ხატყოფის და
გაღმერთების.

* * *

კვლავ გადაივსო საფერფლე,
უკვე ბახუსიც მძლავრობს;
მოკვდავო ლამის გათეთრდე,
ლიუციფერი ხარობს.

გახანგრძლივდება ხვალე,
იმ სინანულის ჟამი...
სამოთხის მძიმე კარებს
ვერ შეატოკებს ხანი.

* * *

აჰა, თენდება, ღამის წყვდიადი
მიმოიფანტა უთვალავ ფერად.
გამოიკვეთა სხივის ციალი,
ვეღარ მივაწვდი ვარსკვლავებს
მზერას.

გამოემიჯნა წკვარამს ნათელი;
შენი ჩურჩული ჩამესმის ნაზად;
ვიცი, რაღაცა დაგრჩა სათქმელი,
მაგრამ გულის კარს
ბოლომდე რაზავ.

* * *

როდის იქნება? რომ ნაფიქრალი
გადმოიფრქვევა ნანატრ
ლექსებად...
როდის იქნება? სასიხარულო
ცრემლით თვალები,
რომ ამევსება.

ეჰ, ბევრი ნატვრა გაუფასურდა,
ბევრი ოცნება ჩაქრა მაშინვე;
ალბათ ამიტომ, აღარაფერი
აღარც მიკვირს და
აღარც მაშინებს.

* * *

მოსაგონარი წარსული
ცხოვრების თეთრი სვეტია,
მაგრამ სიწმინდის კარები
მავანთ, კვლავ ჩაუკეტიათ.

მთავარი მაინც ის არის
მტერს დავხვდეთ მამაპაპურად...
და ჩემი წილი ისარი
შხუოდეს, ვითარც მარულა.

* * *

ეჰ, მრავალ ციხე სიმაგრეს,
აღარ ჩამოვთვლი, რადგან ბევრია,
აღარა შესწევთ ძალა გაძლების,
აღსადგენია, მოსავლელია...

და ჰა, ავწიოთ თითო აგური,
ავახმიანოთ სულის ზარები;
გავაცისკროვნოთ გული წარსულის,
გაუმთელდება მამულს ბზარები.

მიკვირს

შფოთვა დასრულდა,
მაგრამ რატომღაც
არ მიხარია.

ხშირად უტყვი ვარ,
გატრუნული,
როგორც ხარია.

განსაცდელის ჟამს,
ისევ დუმილი, –
მიკვირს ძალიან.

* * *

ბედს ნუ ემდური
და ნუ წუწუნებ,
უფალს ნაბოძებს
ნუ დაუწუნებ.

ჩამოკრა ზარმა

ორმოცდაათჯერ ჩამოკრა ზარმა,
ორმოცდაათი იწვის სანთელი.
ბევრჯერ დამიდო ცხოვრებამ
სარმა
და ნემსის ყუნწშიც ბევრჯერ
გავძვერი.

კარს მომდგომია რადგან სიბერე,
ამაოების ურჩი მონა ვარ.
დასაჯერებელს ძნელად ვიჯერებ,
ვემსახურები შვილს და მომავალს.

ჯახირ-ჯახირში გადის დღეები,
ერთი მეორეს, არც ერთი არ გავს.
წუთისოფელმა შემასისხლხორცა
ყოველ ცისმარე რაღაცის კარგვას.

რაც გავიარე ძალზე მცირეა,
არ ვიცი კიდევ დამრჩა რამდენი.
უნდა ჩამოკრას ისევ ზარებმა,
უნდა აინთოს კიდევ სანთელი.

* * *

შუაღამეა, მძინარს ჩამესმის
ხმა, რაღაც მკვეთრი, ცბიერი,
ფლიდი;
არ ვარ ჩვეული ამ ძილბურანში,
ამდენ ბორგვას და სიზმართან
ჭიდილს.

ამ კოშმარების ორომტრიალში
გამძაფრდა სულის კივილის ექო;
მეტს ვეღარ შევძლებ,
გამომაფხიზლე
და დამიბრუნე სიცხადე ღმერთო!...

* * *

ქარმა დაჰბერა, მიმოიფანტა
დროში დამწვარი ოცნების
ფერფლი.
გაუფასურდა, უმიზნო დღეთა
უგანაჩენო ჩხრიალი ვერცხლის.

კმარა ბახუსი, კმარა მოცდენა,
თანდათან წარბს ხსნის იმედი
ხვალის.
წელში ვსწორდები, შენზე
ოცნებამ
შემომაგება მედგარი მხარი.

* * *

თვალსაწიერი იდუმალდება,
მრავლისმთქმელია ნათება
                    მკრთალი.
მადლია, როცა ხსოვნაში რჩება,
ტკბილ-მწარე კოცნა მშვენიერ
                    ქალის.

ყველაფერს, აბა როგორ გავშიფრავ,
როცა თვალებში თვლემის ნისლია;
მონატრებისგან თავს ვგრძნობ
                    საშინლად,
შენი კვლავ ხილვა არ შემიძლია.

ჩემი გრძნობები ნისლში ბარბაცებს,
სუნთქვაშეკრული ციმციმებს ვნება...
თუმცა რიტმებმა სულ მთლად
                    გამძარცვეს,
კვლავ სასიმღეროდ თავს
                    მივეც ნება.

* * *

დილის სისხამზე კვნესის ჩიორა, –
შველას ითხოვსო, შველას მამული.
ახლად ფეხადგმულ შვილს
გულში ვიკრავ,
გამძაფრდა ჭერში ფორთხვა
ღამურის.

ვერ დავიოკე ოხერი გული,
ზამთარი წასვლას ჯერ არ
აპირებს;
ცახცახებს ყინვის ქათქათა
სული,
სიმშვიდის ხიბლი ძარცვავს
ნაპირებს.

ისე დამწყვიტე

დიდი ღამეა და ნერვებაშლილს
არ მეკიდება არარა რული...
ეს გაწბილება შებოჭილს
დამშლის,
ისე დამწყვიტე ძვირფასო
გული.

ამ უსაშველო ქართა გნიასში,
კვლავ იმ ბინულის მესმის
რაკრაკი,
როს ვეხვეოდით ერთად
სილაში,
როს სიყვარულის მადლით
გავქვავდი.

* * *

დღეს გუნებაზე მაინც არა ვარ,
თან გულსაკლავად მღერის მატიე...
კვლავ მახსენდება შენი თვალები,
როცა ღალატი არ მაპატიე.

* * *

ზოგჯერ ადვილად ვკარგავ,
რაც მოვიპოვე ძნელად...
გრძნობით დასეტყვილ სხეულს
დროზევე უნდა შველა.

ერთად ჩავქრებით

ჯერ კიდევ ბჟუტავს
თაფლის სანთელი,
ერთად ვიწოდით,
ერთად გავძელით.

ერთად წაგვლეკავს
ვნების ჩანჩქერი.
ერთად ნაღვაწნი,
ერთად ჩავქრებით

მზესავით ბრწყინავს

თუკი გინახავთ, ოდესმე ვინმეს
კოხტა, ლამაზი სოფელი კირცხი,
წარმოსახვაში ის მარად გიწვევთ,
როგორც ყოველთვის, ხელგაშლით
გიცდით.

ახლა შორსა ვარ, მაგრამ მგონია,
თითქოს ხელს მიქნევს ძელქვა
ლეტეშის.
ახლად ამოსულ მზესავით ბრწყინავს,
წარსულის ხიბლი ჩემს იმედებში.

როცა მალიმალ შრიალებს მდელო,
საოცარია უთუთის გორა;
რა დამავიწყებს, აბა იმ ასულს,
ერთხელ სიზმარში რომ მიამბორა.

თუკი გინახავთ, ოდესმე ვინმეს
კოხტა, ლამაზი სოფელი კირცხი,
მაშინ მიხვდებით, რომ მენატრება
და გულმხურვალედ ისიც რომ
მიცდის.

* * *

რაღაც მოშხუის, მიწა
ტორტმანებს,
ამოცისკარდა ზღაპრული რაში,
გადაუფრინა ველებს, გორმახებს;
ბერმუხამ ღრუბელს უთაქა ყბაში.

რაში განუდგა ამ ბნელ სამყაროს,
იკაროსივით აიჭრა მზისკენ...
გაოგნებულმა, უნდა ჩავთვალო,
რომ დღეს უფალი ჩემს ღადადს
ისმენს.

* * *

ვინც ტრფობის ქარცეცხლს
არ თვლის არაფრად;
უფასურდება მისი ბარაქა;
მას აგულქვავებს
დავიდარაბა,
უაზრო ბუტბუტს ჩათვლის
ქარაგმად.

ეჰ, სიყვარული, ვის არ იტაცებს,
ვის განადიდებს, ვის კი
აკნინებს...
ო, იმ სანუკვარ წამთან
მისვლამდე,
ფრთა მოსტეხიათ ბევრჯერ
არწივებს.

* * *

დედაო ქართლის!
  მიწყალობე სიმტკიცე ხვალის,
რომ შევძლო მოხდა
                ბოლომდე ვალის.

დედაო ქართლის!
        ეგ ღვთიური შემახე ხელი,
დამალოცვინე კირითხურო,
        მთესველი, მხვნელი.

დედაო ქართლის!
    დაგვიფარე, ვით გვიფარავდი;
არგუნე ერს დიდების მადლი
                აწ და მარადის.

* * *

რეკავს ზარები ზარზმის,
ეხმიანება ლაშქარს...
მხარზე ბულბული მაზის,
წელზე მიელავს დაშნა.

თუ ბრმა მომავლის ჟამი,
საომრად გვიხმობს როცა,
უნდა გავწიროთ თავი,
არ დავიმარხოთ ცოცხლად.

ღამეული ფიქრები

ო. რა ძნელია ღამეული
ფიქრების სევდა,
გალიგვებული გულის ძგერის
უტყვი პასუხი.
ო, რა ძნელია, უგვირგვინო
ოცნების სეტყვა
და მთვარეულის აღტკინების
უშნო ბახუსი.

ო, რა ძნელია, მიკნაული
გულის ფრიალი,
დაწყვეტილ ნერვთა უსაშველო
შფოთვა, გოდება.
ო, რა ძნელია დამწვარ ფრთებით
ცაში რეალი,
როცა სხეული უკან წკვარამს
უახლოვდება...

* * *

ვართ,
ცას და მიწას შორის
გამოკიდულნი;
გულების სითბოს
გავურბით და
ხან ვეძებთ სანთლით...
ალბათ სიცოცხლე,
სიზმარია
ცხადში ხილული,
რადგან წინასწარ,
თავის სვებედს
ვერავინ გათვლის.

* * *

ისე პირფერად შემომიძვრა
სულში წუხილი,
გაგდება მისი, კარგა ხანი
არ მიფიქრია,
მაგრამ როდესაც ამაფეთქა
გრძნობამ ქუხილით,
თავზე გრიგალი დავატეხე
აზრებს ნისლიანს.

* * *

აბა, როგორ არ ვადიდო
ქართულ გენის მადლი;
ოდითგანვე ჩვენ სულებში
სათნოება ბარდნის.

ბევრმა, ვინც რომ შევიფარეთ,
ბოლოს მახე დაგვიგო;
დროულად ვერ ვითავისებთ
საკეთებელს – სარისკოს.

* * *

ამ ჩემს ტრფიალში ჩავქრები,
ამ ვარამს გულში ჩავიკლავ;
მაგრამ საერთო სატკივარს
ამოვიგმინებ მალი-მალ.

არ დავიჩემებ მამულო!
რომ მნათობივით გინათო;
შემაძლებინე უფალო,
რაც პაპამ შეძლო წინათო.

* * *

დღე დღეებს მისდევს,
ღამე ღამეებს,
ვერ განვიქარვე სევდა.
სული დაოსდა, გამოიფიტა
და გულიც ძლივსდა ფეთქავს.

ღმერთო, მარგუნე ძალა
ისეთი,
რომ დავიოკო განცდა;
არ დაიკარგოს, ნდობის
შეგრძნება
და კაცის დგომა კაცთან.

რედაქტორისგან

ლექსი ლექსად,
        კაცად კაცი,
მაშინ ფასობს სოფლად,
თუ სიკეთეს
        წარმოაჩენ,
თუ იღვრები ოფლად.

ნაღვაწი და
        ნაჯაფარი,
თუ დღეს ძნელად მოჩანს,
ჟამი გემოს
        გაუსინჯავს
წუთისოფლის ხონჩას.

პ. ქ.

სარჩევი

უნდა გიმღერო....3
* * *მიყვარს....4
როგორც უნდა....5
* * * ეჰ....6
* * * ძნელია....7
* * * შხუის....7
* * * კაცი....8
* * * ჟამი....9
მამულს....10
აროდეს....11
* * * იდუმალია....12
* * * როცა....12
* * * ვინც....13
* * * როგორ....14
* * * ისევ....14
ყავის ფინჯანში....15
* * * განუკითხავი....15
* * * გადამწვანდა....16
* * * მწუთხეა....17
* * * დააგვიანდა....17
* * * ვარდობისთვის....18
* * * არ მინდა....18
მხოლოდ იმას....19
* * * გაისმის....19
* * * არ მომასვენა....20

გვეღირსება.....21
* * * დაურვებული.....22
კვლავ ზეცისკენ.....23
* * * მინდა.....24
* * * მზად ვარ.....24
* * * ჩიტი.....25
* * * რა ჯობია.....26
კრავის დუმილი.....27
* * * როცა მივყვები.....28
* * * კვლავ გამიელვე.....29
პოეტს.....30
* * * ეჰ, მერამდენე.....31
* * * იმისთანა.....32
* * * არ მიფიქრია.....33
ღირსი.....34
* * * კვლავ.....35
* * * აჰა.....36
* * * როდის.....37
* * * მოსაგონარი.....38
* * * ეჰ, მრავალ.....39
მიკვირს.....40
* * * ბედს.....40
ჩამოკრა ზარმა.....41
* * * შუაღამეა.....42
* * * ქარმა.....43
* * * თვასაწიერი.....44
* * * დილის.....45

ისე დამწყვიტე.....46
* * * დღეს.....47
* * * ზოგჯერ.....47
ერთად ჩავქრებით.....48
მზესავით ბრწყინავს.....49
* * * რაღაც.....50
* * * ვინც ტრფობის.....51
* * * დედაო.....52
* * * რეკავს.....53
ღამეული ფიქრები.....54
* * * ვართ.....55
* * * ისე.....56
* * * აბა.....57
* * * ამ ჩემს.....58
* * * დღე დღეებს.....59
რედაქტორისგან.....60

დავით არახამია

ჩამოკრა ზარმა

გამომცემლობა **„თაკვერი"**

ტირაჟი 5000

ფასი 3 ლარი